

# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №33  
2024 წლის 31 იანვარი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

## მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დანართ №2-ში აღნიშნული ციფრები განსაზღვრავენ სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებულ სახელმწიფო საწარმოებს (შემდგომში – სახელმწიფო საწარმოები);“.

## მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
მოვალეობის შემსრულებელი

ლაშა ხუციშვილი

